საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 206/01
12/01/2022

206-01-2-202201121506

შპს „ნიავს"
მის: ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. №217

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 17 დეკემბრის N23099 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველ სვირში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი სქემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის ნაწილი და საწარმოს დანადგარები მოქცეულია სახელმწიფო ელექტროგადამცემი სისტემის 220 კვ ძაბვის ეგხ „სურამის" დაცვის ზონაში, რის გამოც აღნიშნული ტერიტორიაზე მანამდე არსებული შპს ,,ალპედეს" სამსხვრევ დამახარისხებელი საწარმოს დემონტაჟი განხორციელდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მითითებული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. სკრინინგის განცხადებაში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით განსაზღვრული ნორმებთან დავსებადობის ინფორმაცია და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისემის პოზიცია მითითებულ ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით;
- განცხადებაში წარმოდგენილი, საწარმოს შესახებ ზოგადი ცნობების ცხრილის მიხედვით ქვიშა-ხრეშის დამუშავება ხდება მშრალი მეთოდით, თუმცა ტექნოლოგიური სქემის მიხედვით ბუნკერში მიწოდების დროს გათვალისწინებულია ნედლეულის დანამვა, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე